გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

29 იანვარი 2008 წელი ქ.ქუთაისი

ქუთაისის საქალაქო სასამართლო
მოსამართლე ანა ღელეყვა
სხდომის მდივანი ნანა კახიძე

მოსარჩელე:

მოპასუხე: ქუთაისის №17 საჯარო სკოლა; დირექტორი - ირინა ჯგენერაია; წარმომადგენელი – ხათუნა არველაძე

მესამე პირი: სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე რუსუდან ქემოკლიძე

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენის და ქმედების განხორციელების შესახებ

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა - მოპასუხედ მიუთიტა ქუთაისის №17 საჯარო სკოლა და მოითხოვა ქუთაისის მე-17 საჯარო სკოლის დირექტორის 2007 წლის 26 ივნისის №147 ბრძანების, სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ, ბათილად ცნობა; სამუშაოზე აღდგენა იძულებიი განაცდურის ანაზღაურებით; ქუთაისის №17 საჯარო სკოლის დირექტორის 2007 წლის 29 მაისის, სასტიკი საყვედურის გამოცხადების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა და საჯარო ინფორმაციის, კერძოდ სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის წარსადგენი 2007 წლის ბიუჯეტისა და ამ საკითხზე სამეურვეო საბჭოს დადგენილების ქსეროასლი; 2005, 2006 და 2007 წლის 10 დეკემბრამდე ჩაბარებული ანგარიშის (სკოლის ფინანსური საქმიანობების და სასწავლო პროცესის შესახებ) ასლი; საჯარო სკოლის მიმდინარე და კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოებისათვის შედგენილი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების

ქსეროასლი და სამუშაოს დაფინანსებისთვის გაწეული ხარჯების სრული ჩამონათვალი; საჯარო სკოლის მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებითი სამუშაოებისთვის დამკვეთსა და შემსრულებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ასლი; საჯარო სკოლის მიმდინარე და კაპიტალური სამუშაოებისთვის შედგენილი დეფექტური აქტების და ფორმა №2 ასლი.

მოპასუხე №17 საჯარო სკოლის დირექტორმა ი.ჯგენერაიამ და მისმა წარმომადგენელმა ხ.არველაძემ სარჩელი არ სცვნეს. ხ.არველაძემ აღნიშნა, რომ სკოლის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია გადაცემული აქვს მოსარცელეს, ხოლო 10 დეკემბრამდე ჩაბარებული ანგარიშების შესახებ ინფორმაციას იგი არ ითხოვდა, რას გაცემაზეც მოპასუხე არ არის წინააღმდეგი, ხოლო სარემონტო სამუშაოებტან დაკავშირებით სკოლა არ არის უფლებამოსილი გასცეს ასეთი ინფორმაცია, რადგან აღნიშნულთან დაკავშირებით ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ განათლების სამინისტრო და სამშენებლო ორგანიზაციები.

დადგენილია, რომ ქ.ქუთაისის №17 სკოლის დირექტორის 2007 წლის 29 მაისის №138-ე ბრძანებით სკოლის [illegible] დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის გამო გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

დადგენილია, რომ ქ.ქუთაისის №17 საჯარო სკოლის დირექტორის 2007 წლის 26 ივნისის №147 ბრძანებით სამუშაოდან დათხოვნილი იქნა [illegible] 2007 წლის 26 ივნისიდან.

სასამართლო სხდომაზე მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე საჯარო ინფორმაციის გაცემის ნაწილში არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლის შესახებ, რასაც არ დაეთანხმა მოსარჩელე მხარე.

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მოსარჩელეთა ახსნა-განმარტებანი, თვლის, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს

პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების პირველი მუხლის პირველი ნაწილით საჯარო სკოლა არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას და უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას დაწყებით ან საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომიდინარე, ქუთაისის №17 საჯარო სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია ადმინისტრაციული აქტის - განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ სკოლის დირექტორის ბრძანება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია. ამდენად, სამუშაოდან განთავისუფლების დროს შეწყდა კერძო სამართლებრივი, შრომითი ურთიერთობა, რაც უნდა მოწესრიგდეს შრომის კოდექსით.

რაც შეეხება საჯარო ინფორმაციის გაცემას, აღნიშნულ ურთიერთობას ადმინისტრაციულ ორგანოსა და მოქალაქეებს შორის აწესრიგებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და შესაბამისად, ვინაიდან დავა ამ ნაწილში ადმინისტრაციულ სამართალწარმოებით განსახილველ დავათა კატეგორიას წარმოადგენს საქმე განხილული იქნა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე, მე-40 მუხლების შესაბამისად მოპასუხემ უნდა უზრუნველყოს მასთან არსებული საჯარო ინფორმაციის ღიაობა და მოსარჩელოს წარუდგინოს 2007 წლის სკოლის ბიუჯეტისა და 2005, 2006 და 2007 წლების 10 დეკემბრამდე ჩაბარებული ანგარიშის შესახებ. რაც შეეხება საჯარო სკოლაში მიმდინარე და კაპიტალურ რემონტზე ჩატარებულ სამუშაოების შესახებ ინფორმაციას, აღნიშნული არ წარმოადგენს სკოლის პრეროგატივას, ვინაიდან საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ კანონის 26-ე მუხლის თანახმად სკოლის სარემონტო სამუშაოების დაფინანსების შესახებ საკითხის

გადაწყვეტა სამინისტროს კომპეტენციაში შედის, შესაბამისად სკოლა ვერ გაცემს აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაციას.

რაც შეეხება სამუშაოზე აღდგენის შესახებ მოთხოვნას იგი უსაფუძვლოა, ვინაიდან საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის დ) ქვეპუნქტის თანახმად შრომითი ურთიერთობის სეწყვეტის საფუძველია შრომითი ხელშეკრულების მოშლა. ამავე კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი შრომითი ხელშეკრულების მოშლა შეიძლება ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, ამ მუხლით დადგენილი წესით. ამასთან, სასამართლო განმარტავს, რომ ერთ-ერთი მხარის ინიციატივა ხელშეკრულების მოშლის შესახებ უნდა გამომდინარეობდეს მართლზომიერი საფუძვლებიდან, განსახილველ შემთხვევაში კი სახეზეა ხელშეკრულების მოშლის მართლზომიერი საფუძველი, რაც დაწვრილებით არის ასახული გასაჩივრებულ ბრძანებაში, რომლის საწინააღმდეგოს დამტკიცებაც მოსარჩელემ ვერ შეძლო.

სასამართლომ იხელმძღვანელა ასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-12 მუხლით, სსკ-ის 243-ე 248-ე,249-ე, მუხლებით,

გადაწყვიტა:

სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

დაევალოს №17 საჯარო სკოლის დირექტორს გასცეს საჯარო ინფორმაცია 2007 წლის სკოლის ბიუჯეტისა და 2005, 2006 და 2007 წლების 10 დეკემბრამდე ჩაბარებული ანგარიშების შესახებ.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში (ქუთაისი, ნიუპორტის ქ.№32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.(ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11)

მოსამართლე: ანა ღელეყვა